



კონფერენცია „ადვოკატთა როლი საერთაშორისო სასამართლოებში“- წყარო: ევროპელ ადვოკატთა ორგანიზაცია

CCBE Info

N° 41
აპრილი, 2015 წელი

CCBE-ის პრეზიდენტი მარია სლაზაკის და მართლმსაჯულების საკითხში ევროპის კომისრის ვერა ჯოუროვას შეხვედრა - ევროპელ ადვოკატთა ორგანიზაციის პრეზენტაცია - კანონმდებლებმა მიაღწიეს შეთანხმებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ დირექტივასთან დაკავშირებით- ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის მიყურადებას - სახელმწიფო შესყიდვები: გარდაქმნის/დახვეწის საკითხები

CCBE-ის პრეზიდენტის მარია სლაზაკის და მართლმსაჯულების საკითხში ევროპის კომისრის ვერა ჯოუროვას შეხვედრა

23 მარტს, ბრიუსელში ჩატარებული შეხვედრა იყო ხელსაყრელი შესაძლებლობა მართლმსაჯულების საკითხში ევროპის ახალ კომისართან ერთად იურიდიული პროფესიისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, მათ შორის მომხმარებელთა და გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხებისა.

მონაწილეების მიერ განხილულ იქნა მრავალი და მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: ევროპული საკანონმდებლო ინიციატივები სისხლის სამართლის სფეროში, ევროპული საჯარო (სახელმწიფო) პროკურატურა, მართლმსაჯულების მომავალი, ადვოკატთა ტრენინგი, გენდერული თანასწორობის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ინიციატივები, ასევე, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა უკრაინაში.

მარია სლაზაკის მიერ გამოხატული შემოთავაზების შემდეგ, რომელიც ადვოკატთა მასიური თვალყურის დევნასთან დაკავშირებით გამოითქვა, კერძოდ ადვოკატთა და კლიენტთა შორის არსებული კომუნიკაციის დეტალური შესწავლის მეშვეობით, ვ. ჯოუროვამ მოითხოვა ანგარიშების წარმოდგენა, განსაკუთრებით უახლესი ინფორმაციის საფუძველზე დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში გახმაურებული საქმეებებთან დაკავშირებით. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო კომუნიკაციაზე და თანამშრომლობის გაგრძელებაზე.



ევროპელი ადვოკატების ფონდის პრეზენტაცია

2015 წლის 23 აპრილს, საერთაშორისო კონფერენციის თემაზე „ადვოკატთა როლი საერთაშორისო სასამართლოებში“ გახსნასთან ერთად, ფუნქციონირება დაიწყო ევროპელი ადვოკატების ფონდმა.

ჰააგაში, ფართო აუდიტორიას სიტყვით მიმართეს წამყვანმა მომხსენებლებმა—საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების წარმომადგენლებმა. მოსამართლე თეოდორ მერონი (ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პრეზიდენტი), მოსამართლე ალექსანდრა ფრეჩალი (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო), მოსამართლე დანიელ ნსერეკო (ლიბანის სპეციალური ტრიბუნალი), ასევე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს თანამშრომლებმა,

წარმომადგენლებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან.

ახალდაბადებული ორგანიზაციის მთავარი მიზანია დამატებითი ღირებულების მქონე პროექტების განხორციელება ევროპელი ადვოკატების მომსახურების და ევროპაში მართლმსაჯულების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. ამას გარდა, ორგანიზაცია ასევე განხორციელებს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებთან დაკავშირებულ პროექტებს.

იხილეთ მეტი: [\[Launch of the European Lawyers' Foundation\]](#)

კანონმდებლები შეთანხმდნენ ახალ დირექტივაზე ფულის გათეთრების წინააღმდეგ

20 აპრილს, ევროპარლამენტმა და მინისტრთა საბჭომ მიადრწია შეთანხმებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მესამე დირექტივის (2005/60/EC) გადახედვის თაობაზე.

დირექტივის შინაარსი მოიცავს მრავალ ცვლილებას იურიდიული პროფესიაში: ანგარიშის ფარგლებში მკაფიოდ არის გათვალისწინებული ადვოკატთა მიერ კონსულტაციის გაწევა საგადასახადო საკითხებში; მიმე დანაშაულის განმარტება ასევე ეხება საგადასახადო დანაშაულებს; პირებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულება, მათ შორის ადვოკატებმა სულ მცირე ხუთი წლის განმავლობაში უნდა შეინახონ მომხმარებლისგან მოპოვებული სავალდებულო ინფორმაცია.

თვითრეგულირების ორგანოს (ასოციაცია ან სამართლის საზოგადოება) როლი ამჯერად დაცულია პირველ ინსტანციის ანგარიშვალდებულებისგან. ასევე, დირექტივა ადგენს წევრი ქვეყნების მიერ იმ საშუალებების და აქტივობების გამოყენებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროფესიული საიდუმლოების და კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული დირექტივის პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით მიღების შემდეგ, წევრი ქვეყნები 2 წლის ვადაში უზრუნველყოფენ ხსენებული დირექტივის ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში.

ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის მიყურადებას

ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვასამართლიანიდამიუკერძობებისსასამართლოსუმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მიუხედავად ამისა თებერვალში, ბრიტანეთის მთავრობამ აღიარა, რომ მისი სადაზვერვო სამსახურები ადვოკატსა და კლიენტს შორის იმ საუბრების უკანონო მოსმენებს აწარმოებდნენ, რომლებიც დაცულია მიყურადებისაგან კონფიდენციალურობის პრინციპის საფუძველზე. აღიარება განხორციელდა, მას შემდეგ რაც საგამომიებო

ტრიბუნალს გადაეცა საქმე, რომელიც ეხებოდა 2004 წელს ორი ლიბანელის გადაცემას და სავარაუდო წამებას ბრიტანელი და ამერიკელი აგენტების მიერ.

იხილეთ მეტი: [\[http://www.theguardian.com/uk-news/2015/feb/18/uk-admits-unlawfully-monitoring-legally-privileged-communications\]](http://www.theguardian.com/uk-news/2015/feb/18/uk-admits-unlawfully-monitoring-legally-privileged-communications)

სახელმწიფო შესყიდვები: ტრანსპარენციის საკითხები

2014 წლის 26 თებერვლის 2014/24/EU დირექტივამ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გააუქმა 2004 წლის ვარიანტი და დირექტივის საფუძველზე შემოღებულ იქნა დამატებითი წესები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ხელშეკრულებების თაობაზე.

ცვლილებათა განხილვის პროცესში, CCBE-ის მიერ ყურადღება გამახვილებული იქნა იურიდიული მომსახურების სპეციალური სტატუსის შენარჩუნების აუცილებლობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში. როგორც ჩანს, ზოგიერთი წევრი სახელმწიფოების მიერ არ ხდება იურიდიული მომსახურების შესახებ დებულებების

სათანადოდ იმპლემენტირება, კერძოდ ე.წ. „მსუბუქი რეჟიმისა“. საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაციები იყვნენ იმ პირველთაგანი, რომლებმაც აღიმადლეს ხმა (და საგანგებოდ გამოხატეს შემოფოთება) ამ საკითხთან დაკავშირებით

CCBE-ის პრეზიდენტის, მარია სლაზაკის მიერ შიდა ბაზრის კომისრის, ელიზაბეტ ბიენკოსკას მისამართით გაგზავნილ ოფიციალურ წერილში, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა საფრანგეთში არსებულ პრობლემებზე და გამოხატა შემოფოთება, რომ აგრეთვე შესაძლოა წევრი სახელმწიფოების მხრიდან ადგილი ჰქონდეს აღნიშნული

დირექტივის არასათანადოდ იმპლემენტაციას. იმ შემთხვევაში, თუ გამოსავალი არ მოიძებნება, ევროპულმა კომისიამ შესაძლოა დაიწყოს ოფიციალური კანონდარღვევასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებები. ამ მიზნით, მომდევნო თვეებში, CCBE გააგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს წევრ სახელმწიფოებში.

იხილეთ მეტი: [\[Public Procurement on the European Commission's website\]](#) (http://ec.europa.eu/growth/single-market/public-procurement/modernising-rules/reform-proposals/index_en.htm)

მოახლოებული ღონისძიებები

2015 წლის 28-29 მაისს, გადანსკში CCBE-ის რიგით 123-ე პლენარული სესია ღიაა პრესისთვის